№ 169
აგვისტოს 10, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 169
აგვისტოს 10, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს **ხუთ მანეთად** და **ათ შაურად** (5 მ. 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
ზუგდიდში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დ ე პ ო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მ ა ღ ა ზ ი ა

(სასახლის ქუჩიდგან)

გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარობს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საცლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სახლდობანი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—12)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქუთაისის სათავად აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა I განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებაში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდე.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს წლოვანობის, აზნაურშვილობის და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ძ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმსა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 10 **აგვისტოს**.

დიდგვარიანები...

უზარმაზარ მამულებს ჰყიდიან და „არალეს“ დამღერიან. „ჭამა-სმა, დიდად შესარგი, დება რა სავარგულია!“ ჰფლანგავენ დღეს იმას, რაც ხვალ საჭიროა მათის ღვიძლის შვილებისათვის. სულაც არ აწუხებთ ის გარემოება, რომ, თუ მუხას ფესვები გამოუთხარეს, ახოვნად ამართული გახმება, ძირს დაეცემა...

ამგვარ უმადურ არსებათაგან განირჩევა მცირე მამულიანი აზნაური. იგი ჰხედავს მუშა კაცის გაჭირვებას, ნაკლულევანებას, ჰხედავს, რომ

გუთანი მისი მძიმეა, უვარგისი.
მამულის დამუშავება წესიერად არ იცის.
ფუტკრის მოშენება ვერ შეუშვნია.
პარკის ჭია ვერ გაუჩენია.
ღვინის დაყენება არ ემარჯვება.
კარგის ჯიშის საქონლის გამრავლება ვერ მოუხერხებია...

ჰხედავს ყველა ამას, გული ღმობიერებით ევსება, თავის 50 დესიატინის სივრცე მამულში აარსებს იმგვარს სასწავლებელს, საცა მუშა კაცი შეისწავლის ყველა იმას, რაც საჭიროა სოფლად, რაც არა ერთისა და ორის მეურნეობას ააღორძინებს, აღაყვავებს. თავის საკუთარის ხარჯით და გაგებულ კაცთა დახმარებით, თავის საკუთარის თაოსნობით აშენებს სასკოლო სახლს, მოწაფეთა საცხოვრებელს თავშესაფარს, შვენიერს ეკკლესიას, იწვევს ყველას და ასწავლის წიგნსაც და მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგსაც.

მიჰხვდებით, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ილია წინამძღვრიშვილის მიერ 1883 წელს დაარსებულ სამეურნეო სკოლის შესახებ.

რა არ შეიძლება გაკეთდეს თვით ერთის კაცის თაოსნობით, თუნდ ეს ერთი კაცი მცირე მამულიანი იყოს და, შედარებით, ხელმოკლეც.

წინამძღვრიანთ-კარი დღეს შვენებად შეიქმნა არა მარტო საგურამოს ხეობაში, არამედ მთელს საქართველოშიაც. მისმა სასწავლებელმა გამოზარდა მრავალნი ქართველნი, სამეურნეო ცოდნა მოჰფინა გარშემო სოფლებს; აქ გამოზრდილ მოწაფეებმა სწავლა-განათლება წაიღეს შორს კუთხეებში; ზოგმა იქამდეც მიაღწია, რომ უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულებსავით დიდ-დიდ ჯამაგირებსაც იღებენ დღეს...

პირველად ფული არსად იყო, თვით სკოლებისთვის შეწირული მამულიც არას იძლეოდა. დღევანდლამდე-კი სკოლაზე დაიხარჯა თითქმის 100,000 მანათი და თითქმის ამდენივე შეიძინა სკოლამ უძრავ ქონებად ბაღ-ვენახ-შენობიანად.

ი. ი. წინამძღვრიშვილიც რომ სხვათა ფეხის ხმას აჰყოლოდა და მოძმეთა გაჭირვება სხვებსავით უგულებელ ეყო, ეს 200,000 მ. დაიკარგებოდა და ერშიაც ვერ დაინერგებოდა ის სხივი განათლებისა, რომელიც ხსენებულმა სამეურნეო სასწავლებელმა თავის წილად მოიტანა და დასდო ერის წმინდა საკურთხეველზედ.

წინამძღვრიშვილისთანა კაცები რომ გვყოლოდა ყოველს კუთხეში, ნიჭიერი და გამჭრიახი ქართველი კაცი მალე მოღონიერდებოდა და მაღლა აიმართებოდა...

პატივი და ქება თაოსანს კაცს, ღრმად პატივცემულ ილია წინამძღვრიშვილს, რომელიც, მართლაც-და, წინამძღრობას უწევს ხალხს...

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ამ ახლო ხანში შეუდგებიან ძველ ქართველ კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის განახლებას განსვენებულ კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთა საფასით.

◆ ამას წინად ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ ჩვენი ქალები აარსებენ ქალების პირველ-დასაწყისს სკოლ ს. ახლა ეს განზრახვა განხორციელდა და ამ თვის უკანასკნელს რიცხვებში ვერაზე, ყაზიბეგის ქუჩის თავში, ვ. დ. მიქაბერიძის სახლზედ, იმართება ჩვენის ქალებისათვის პირველ-დაწყებითი სკოლა; ამ სკოლას ერქმევა ყაზიბეგის სკოლა. ბავშვებს სულ უცოდინრებს მიიღებენ, სწავლის ფასი მცირეა, წელიწადში ექვსი მანეთი. ღარიბებისათვის სტიპენდიებია დანიშნული. სკოლა ამ ჟამად უკვე მოწყობილია, მაგრამ, რასაკვირველია, ამისთანა მცირე გარდასახადით, როგორც წელიწადში ექვსი მანეთია, სკოლა არ შეინახება. ამიტომ, იმედია, ქართველი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და დახმარებას აღმოუჩენს, მით უფრო, რომ, რამდენიც მეტი შემოწირულება იქნება, იმდენი მეტი სტიპენდიანტები გამოიზრდებიან.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა შეატყობინა კავკასიაში თავის რწმუნებულს, რომ მან საჭირო თანხა გადასდო ბარონის ფონ-როზენბერგის მიერ მოგონილ სეტყვის ზარბაზნის შესაძენად კავკასიისათვის; მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი უნდა გამოიცადოს მომავალ 15 სექტემბრისათვის სამეურნეო გამოფენაზედ ეკატერინოდარში. კავკასიაში მინისტრის რწმუნებული მოვალეა აგრეთვე მისი ხმარება სხვა გამოფენებზედაც აჩვენოს ხალხსა. მინისტრს უკვე მოუხდენია განკარგულება ალექსანდროვსკის ფოლადის გადასადნობ ქარხნებში ამ ზარბაზნის მომზადებისა და გამოგზავნისა კავკასიაში.

◆ სამშაბათს, 13 ამ თვეს დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და კომისიის წევრთა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ.

◆ 8 ამ თვეს მიეჰხდა შეერთებული კრება ქალაქის საფინანსო კომისიისა და გამგეობისა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიისათვის სახლის დაქირავების შესახებ.

◆ ქალაქის ობლიგაციების პატრონთ შეუძლიანთ ხაზინაში გამოსცვალონ ახალ ობლიგაციებზედ ძველი ქაღალდები სამშაბათობითა და პარასკეობით; სხვათა შორის ხაზინის გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, შეატყობინეთ ხოლმე ყოველთვის, რომელი წევრი დაინიშნება რიგით ქაღალდების მიღების დროსაო; ქალაქის გამგეობამ, განიხილა-რა ეს თხოვნა, დაადგინა: პირველად დაინიშნოს გამგეობის წევრი კოკჩაევი, გამგეობის კასსირი არამიანცი და უფროსი ბუხჰალტერი ვერმიშევიო.

◆ ქალაქის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა სტეფანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას სასანიტარო-საექიმო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი 1903 წლისათვის.

◆ ქალაქის თავს დაუბარებია მეეტლეთა უფროსი და დაუვალებია, რომ ყოველთვის რკინის გზის სადგურზედ საკმარისი ეტლი მოიპოვებოდეს მსურველთათვისაო; აგრეთვე უსუფთაოდ ჩაცმულს მეეტლეს არ შეეძლოს ეტლზედ მუშაობაო.

◆ 6-ს აგვისტოს ერთმა ქალაქის ვაჭარმა ივანე სესიაშვილმა იყიდა ორ სართულიანი სახლი, რომელიც ადრინდელს სიმონსონოვის ქუჩაზედაა, პირველ კლასიკურ გიმნაზიის ზემოდ და დაუთვალა პატრონს ათას ორას ორმოცდა ათი თუმანი ნაღდი ფული. მეორე დღეს სესიაშვილი შევიდა თავის ახლად ნასყიდ სახლში და აღმოაჩინა, რომ ეს სახლი საშინელს უფსკრულზე დგას, რადგანაც მთელი მთაწმინდის ხევი ამ სახლს ქვეშ მიდის და ქალაქისაგან გაკეთებული თაღი-კი თურმე ხევს დიდი ხანია, რაც წაუღია. მაშინათვე შეადგინეს აქტი და გაუგზავნეს ქალაქის გამგეობას. დღეს, სხვათა შორის, ქალაქის გამგეობის კრებაზედ ისიც გადასწყდება, ვისი ვალია ამ ხევის თაღის გაკეთება, რაიცა დაჯდება სამას-ოთხას თუმნამდე, ქალაქისა, თუ სახლის პატრონისა.

◆ როგორც გადმოგვცეს, 20 აგვისტოდან იწყებს მოქმედებას ამხანაგობა წვრილფეხის მოშენებისა და ვაჭრობისა, სახელწო-

დებით „კოლხიდა“. ამხანაგობას სავაჭრო ფარდული ექნება იარმუკაში.

✦ 11 აგვისტოს ქალაქში მოელიან მიწადმოქმედების უმთავრეს დეპარტამენტის გამგეს თავ. მასსალსკის, რომელიც გაემგზავრება ყარაიაზს მამულების დასათვალიერებლად.

✦ ამ თვის დამდეგისათანავე დაიწყო დიდი წვიმები. წვიმები მოდის თქეშივით და თან მოსდევს ნიავ-ღვრები. ამისთანა თავ-სხმა წვიმებმა ცოტა ნავნევი არ მისცა ტფილისსაც და სოფლებსაც. ტფილისში ბევრგან სახლები დააზიანა, რკინის გზის საავადმყოფოს სააფთიაქო განყოფილება დიდად დააზარალა. სოფლელებს ხომ ყელი გამოსჭრა ამისთანა ავდრებმა. სულ შეაყენა პურის ლეწვა. ჭირნახული ლამის ჩალპეს კალოებში. ზოგან სულ გაჯეჯილდა ბჯად დამდგარი ქირნახულიც-კი.

წვიმების გამო ტფილისში საკმაოდ აგრილდა.

✦ მთავრობის განკარგულებით ამ წლის 1 ივნისიდან სამის წლის განმავლობაში მომატებულ იქმნა გარდასახადი ნავთისა $^{1}/_{5}$ კაპიკამდე ფუთზედ ნავთის მრეწველობის საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

✦ ძლივს მიჰხვდა ტფილისის ქალაქის გამგეობა, რომ აუცილებლად საჭიროა ქალაქმა საკუთარი შენობანი შეიძინოს ნელ-ნელა მაინც თავის პირველ-დასაწყისს სკოლებისათვის. გამგეობის წევრს ბ-ნს კოკჩაევს დაუპირებია ასეთი აზრი წარადგინოს გამგეობის განსახილველად. ეგ აზრი-კი, ამ ათის წლის წინად სავსებით შემუშავებული და დასაბუთებული გამოთქმული იყო მაშინ ხმოსნად და ქალაქის სამასწავლებლო კომისიის წევრად ნამყოფის ბ-ნ ცხვედაძის მიერ. საკვირველია, კერძო კაცნი ახერხებენ უზარმაზარ შენობათა თითქმის უფულოდ აშენებას დ ქალაქის მამები დ მათნი რჩეულნი-კი, არამც თუ ამას ვერ ახერხებენ საქალაქო სკოლებისათვის, არამედ დღეს მიჰხვდნენ მხოლოდ, რომ საჭიროა საკუთარი შენობა, თორემ სახლის პატრონები ყოველ წლივ გვიმატებენ ქირას და თან არ შეეფერება ეგ შენობანი სასკოლო მოთხოვნილებასაო.

✦ სოფ. ვაჩნაძიანის სასოფლო ქსენონის ექიმად დაუნიშნავთ თავ. ერისთავი.

✦ შინათ-მრეწველობის კომიტეტის ღონისძიებათა გასაძლიერებლად მიწად-მოქმედების მინისტრის სანდო კაცი შუამდგომლობს საცა ჯერ არს, რათა ამ ღონისძიებით კომიტეტმა მოახერხოს შინათ-მრეწველობის შესწავლა კავკასიაში.

✦ გუდაუთში მიწის-მზომელი ვოსკრესენსკი ნაჭრებად ჰყოფს ათას დესეტინა მამულს. ამ ნაჭრებს დაურიგებენ იმათ, ვისაც სურს გუდაუთში დასახლება და შემუშავება ნარგების მამულისა („ჩერნომ. ვესტ.“)

✦ მესამე განყოფილების სავაჭრო ზედამხედველს ტერ-სიმონიანცს მიუმართნია ქალაქის გამგეობისათვის და უთხოვნია, რომ ჩემს კაცებს მიეცეს ნება იარაღის ტარებასაო; სიმონიანცი ამ თავის თხოვნას იმით ასაბუთებს, რომ ნაძალადევში მამულების ტაციაობა გახშირებულიაო და უიარაღო კაცს ბოროტ-განზრახველნი არ შეეპუებიანო.

✦ მე-7 განყოფილების სავაჭრო ზედამხედველმა ბ-ნმა კლიმიაშვილმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა შვიდი ოქმი, სხვა-და-სხვა ვაჭართა შესახებ შემდგარი: ამ ვაჭრებს დაუჩემებიათ ქალაქის მამულები.

✦ ქალაქის სააუქციონო დარბაზში 1—8 მკათათვემდის გაყიდულა სხვა-და-სხვა ნივთი 648 მ. და 45 კაპ.

✦ ამ ჟამად ქალაქის ქუჩების სარწყავად ჰმოქმედებს 40 ახლად შეკეთებული ბოჩკა.

✦ ტფილისის მეორე დედათა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 22—26 აგვისტოსათვის. მიღება თხოვნებისა 20 აგვისტოს მოისპობა. 1, 2, 3, 6 და 8 კლასში უადგილობის გამო შეგირდები არ იქმნებიან მიღებულნი.

✦ ტფილ. სახელოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენი დანიშნულია 26, 27 და 28 აგვისტოსათვის, თხოვნები მიიღება მხოლოდ 20 აგვისტომდე.

✦ „ნოვ. ობოზ.“-ე ამბობს, რომ ხმა ისმის, ვითომ უნდათ მოუმატონ ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს შტატებსაო.

✦ ქუთაისიდგან მიუღია ცნობა იმავე გაზეთს, რომ საქმე ბათუმში მომხდარ უწესოებათა გამო როტშილდის ქარხანაში, ბათუმში-კი არა, ქუთაისში იქნება განხილული ოლქის სასამართლოსაგანაო. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით სასართლოში შესვლის ნება არ ექმნება გარეშე საზოგადოებასაო. ზოგიერთს ბრალდებულს მოუწვევია დამცველად ნაფიცნი ვექილნი მოსე ქიქოძე და მექი ფალავა ამბობენ, ამ საქმეში ბრალდებულთა დასაცველად ჩამოვა პეტერბურგიდგან ნ ა. კარაპჩევსკიო.

✦ ხოპერთა ყაზახების პოლკის პირველმა „სოტნამ“ შეიტანა ქალაქის გამგეობაში თხოვნა, რომ დასალევი წყალი ქალაქის წყლის მილიდგან დაგვეთმოს იმ ფასად, რა ფასადაც სარგებლობენ ადგილობრივი რაზმები, ესე იგი ერთ კაპიკათ ხუთი ვედროო.

✦ 5 და 6 აგვისტოს ქალაქის ხორცის დუქანს გაუყიდნია სულ 642 მან. 92 კ. სხვა-და-სხვა საქონლის ხორცი; 7 აგვისტოს უვაჭრია 372 მან. 60 კაპ.

ჩვენებური ამბები

სოფ. კასპი. კასპში ერთი ფურნე არსებობს, საიდგანაც ჰყიდულობენ მთლად სადგურის მოხელენი და დროებით აქ მოსულნი გამომცხვარ პურსა. მოხელენი და დროებით მოსულნი ამ სოფელში ცოტანი არ არიან რიცხვით; ცხადია, რომ მეფურნეც უნდა ცდილიყო დ კარგი პური ეცხო. მაგრამ თქვენს მტერს მიეცეს ის გემო, რა გემოს პურსაც აქ ასაღებენ; პურის ხარისხისა აქ არა გაეგებათ-რა და პირველისასაც და მეორესასაც ერთ ფასად ასაღებენ, თუ როდისმე-კი გამოუცხვიათ მეორე ხარისხის პური. ამ ფურნეში ცხვება ერთ ნაირი პური, მესამე ხარისხის პურზედ შავი და ესეც 3—4 კაპ. იყიდება. ამას ჯანი გავარდეს; ამ ბოლოს დროს ისეთს მჟავესა და მძაღე პურს აცხობენ, რომ კაცს არ ეჭმევა. გამოცხობას ნულარ სჩივით, სულ ხელში იჭიჭყნება გული, და პური მძიმეა, როგორც ლოდი. სისუფთავე ხომ ღმერთმა შეინახოს. კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და მით დაიცვან პურის მყიდველთა ინტერესი.

—

გორი. 4-ს აგვისტოს მოხდა აქ საზარელი მკვლელობა. მამამ და შვილმა ბუჯიაშვილებმა მოჰკლეს გორში მცხოვრები მახათაძე. საქმე ასე ყოფილა: მახათაძე შესულა ბუჯიაშვილის სამიკიტნოში. იქ მარტოკა ყოფილა და ჯერ ლაზღანდარობა დაუწყიათ იმისთვის, შემდეგ შეჰყოლიან ლაპარაკსა და ჩხუბი გაუმართავთ. ამ დროს ბუჯიაშვილს უძვრია დახლიდგან გძელი დანა და დაუჭრია მახათაძე ხუთს ადგილს. შემოსწრებია შვილის საქციელს მამა და მის ნაცვლად, რომ მომაკვდავისთვის ეშველა, იმასაც აუღია ხანჯალი და სულ ირგვლივ შემოუჭრია მუცელი და შიგნეული. დაჭრილი კარგახანს ყოფილა უპატრონოდ, შემდეგ ხალხს გაეგო, ექიმებისთვის ეცნობებინათ და საავადმყოფოში წაეყვანათ, სადაც იგი უკვე გარდაიცვალა.

—

სურამი. არა ერთხელ გვსმენია გაზეთების საშუალებით, სურამი განათლებითაც და სანიტარულის მხრივაც წინ მიდის, და ამიტომ ამ კითხვას გვერდს ავუქცევთ, და ყურადღებას მივაქცევთ სურამის ცხოვრების იმ მოვლენებს, რომლებიც კორესპონდენტებს ჯერ არ მოუხსენებიათ, მაგრამ ყურადღების ღირსნი-კი არიან.

ერთი ამ შეუმჩნეველ მოვლენათაგანი არის ის, რომ სურამში ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა მიწების გაყიდვა. ჰყიდის ქართველი, უფრო ხშირად-კი ყიდულობს სომეხი. საუკეთესო ადგილ-ვენახები ჩალის ფასად სომხებისა და სხვა ტომთა ხალხის ხელში გადავიდა. ყოველ წელიწადს მატულობს რიცხვი უცხო ტომის ხალხისა, რომელიც სურამში იძენს მამულს და ზედ დუქანს, სახლს, ან სხვა რამე სარგებლობის მომტანს შენობას აკეთებს. წელს მოვიდა ს. ალიდგან (გორის მაზრა) „ცილინდრიანი ჩარჩი“, იყიდა სურამში საუკეთესო მამული, გააკეთა პარკი, პარკში საზაფხულო თეატრი და სასტუმრო ააგო. რას შვრება ამ დროს ქართველი? სძინავს ისე, რომ საეჭვოა ოდესმე მისი გაღვიძება! თუნდაც ავიღოთ ახალი პარკის მახლობლად მდებარე ვეებერთელა მამული, რომელიც მდიდარს ქართველებს ეკუთვნით და ვიკითხოთ, რად უგდიათ ეს ოქრო-მამული უსარგებლოდ, ცარიელ-ტარიელად? გამრჯე ხელი მას კარგა გამოიყენებდა, მერწმუნეთ.

—

კარგა ხანია, რაც სურამის ზემო ნაწილს „ჯაფანაურ“-ში წითელი მიწა აღმოჩნდა. ეს მიწა ძალიან ვარგობს კედლების გასალესად და ამასთანავე მისგან კეთდება საუკეთესო თვისების აგური. თითო ურემი ამ მიწისა სურამში ფასობს 15—20 კაპეიკამდე. მიწას დიდი სივრცე უჭირავს, შვილის-შვილებიც ვერ მოჰლევენ, რაც უნდა ბევრი ზიდონ. მემამულეებმა ჭკუა რომ მოიხმარონ, ბევრს გამორჩებიან ამ მიწისაგან, გარნა დაუდევრობის გამო ეხლა იმითი უფრო ჩარჩები სარგებლობენ, ვიდრე პატრონები. ეს ჩარჩები მემამულეებისგან ყიდულობენ მიწას, ვაგონებით გააქვთ სურამიდგან სხვა ქალაქებში და ფულს, როგორც იტყვიან ხოლმე, ოხრად იგებენ. რა უშლით მემამულეებს, რომ თვითონ გაიტანონ მიწა სხვა ქალაქებში? თუ ჩარჩი, ან სომეხი ბაჟს იხდის მიწაში და ფულს იგებს, თვითონ მემამულე უფრო ბევრს არ მოიგებს? მით უფრო, რომ მას ბაჟის გადება არ დასჭირდება!

წითელ მიწიან მამულის მცირე ნაწილი ეკუთვნის ერთს სომეხს. სომხის ნაწილში მიწა უფრო ცუდი თვისებისაა, მას ბევრი შავი მიწა ურევია, მაგრამ სომეხმა მაინც ჭკუა მოიხმარა: რამდენიმე წელიწადია, მან დადგა აგურხანა, მოიყვანა თათრები და აგურის ჭრა დააწყებინა. ეს შარშაწინ შენიშნა მხოლოდ ერთმა ქართველმა, იმანაც გამართა ქარხანა და აგურს აჭრევინებს.

სურამიდგან ორი ვერსის სიშორეზედ მდებარეობს სოფ. ჩუმათელეთი. ეს სოფელი შესანიშნავია ადგილ-მდებარეობით და მშვენიერის ჰავით, რომელიც ბევრად სჯობია სურამისას. ეს ის სოფელია, რომლის ახლოს აპირებენ სულით ავადმყოფთათვის თავ-შესაფარის აშენებას. სოფლის მცხოვრებნი კარგად მოწყობილან, ყველას აქვს ბაღი და ვენახი. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას.

ამ ბოლოს დროს სურამში ხმები დადის, აქაური გლეხები უნდა გადაასახლონ სოფელ ციხის ჯვარშიო, ბორჯომის ახლოს. გლეხები დიდი ხანია, რაც სცხოვრობენ ამ ადგილას და ბევრი ოფლი ჩაუღვრიათ შიგ.

ერთს სასიამოვნო მოვლენას ვამჩნევთ ჩვენს გლეხებს. მახლობელ სოფლებში მცხოვრებნი გლეხნი უკვირდებიან თავიანთ ყოფა-მდგომარეობას, ადარებენ მას სურამის ყოფა-ვითარებას და ბოლოს ბევრს მათგანს ჭკუაში მოსდით სოფლიდგან სურამში გადმოსახლება. ორი-სამის წლის განმავლობაში ბევრი მაგალითი იყო, რომ გლეხს გაეყიდოს თავის სოფელში ადგილ-მამული და სურამში ეყიდოს პატარა ნაჭერი მიწა და აქ დაეწყოს ცხოვრება. გადმოსახლებულთა მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა, როგორც გონებრივად, ისე მატერიალურად. გადმოსახლებული გლეხები ხელს ჰკიდებენ ვაჭრობა-მრეწველობას, აკეთებენ პატარ-პატარა დუქნებს და იწყებენ ვაჭრობას. მათ ჰყავთ აგრეთვე ძროხები (თითო კომლს 3—4 ძროხა). ზაფხულობით რძეს ჰყიდიან და მოაგარაკეებისაგან თვეში 10—15 მან. იღებენ. ეს გლეხები შვილებსაც არ სტოვებენ „სიბნელეში“: შეჰყავთ ადგილობრივსა და იტრიის სკოლებში; როცა იქ სწავლას ათავებენ, ზოგი გორის სამოქალაქო სასწავლებელში მიდის, უფრო მეტი-კი მიხაილოვის რკინის გზის სასწავლებელში.

სურამში ბევრი კარგი წყაროებია. ერთი ამ წყაროთაგანი არის „ღვთაების წყარო“. ეს წყარო ისეთს მოხერხებულს ადგილზეა, რომ სურამის ქვემო ნაწილში მცხოვრებნი არა თუ მარტო სასმელად ხმარობენ, არამედ ბაღების მოსარწყავადაც. უკანასკნელ ხანებში წყაროს წყალი მოაკლდა, რაც შარშანვე შეამჩნიეს და ამ უბნელებმა წყაროს შესაკეთებლად ფულის შეკრება დაიწყეს. საქმეს მარჯვედ უნდა მოეკიდონ თორემ წყალი წელს ნეკის სისხოთ ძლივას-ღა გადმოდის.

—

ხმები იყო, მთავრობამ რამდენიმე ათასი მანეთი გადასდო სურამში ახალის ხიდების გასაკეთებლადაო, მაგრამ ეს ხმები დღემდისაც არ მართლდება; კარგი იქნება სურამის „მამებმა“ ყურადღება მიაქციონ, ნამეტნავად „შავ“ ხიდს, რომელზედაც წვიმის დროს ტალახის ისეთი მორევი დგება ზედ, რომ გავლა არ ხერხდება.

ა—ნა.

—

ბათუმი (ქართველი კათოლიკები). ბათუმის ქართველ კათოლიკებს მეტად სამაგალითო ეკკლესია უშენდებათ. ეკკლესია მზად არის, (ეხლა მხოლოდ შიგნით რთავენ მარმარილოს ქვებით) შესანიშნავის ტრაპეზით, მხატვრობით და სხვა-და-სხვა ძვირფასად ნაგებ შესამკობლებით. ერთის სიტყვით, ეკკლესია, გარეგან თუ შინაგან, ბევრნაირის ღირსებით ბრწყინავს და იგი თვალია და შვენება მთელის ბათუმისა.

ამ ძვირფასად ნაშენ ეკკლესიის მთელი ხარჯი თავს იდვა ჩვენის ერის გულშემატკივარმა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა. ეკკლესიას წელს, სექტემბრის გასვლამე აკურთხებენ. კურთხევისთვის მოწვეულია სარატოვის ეპისკოპოზი. აწინდელი სარატოვის ეპისკოპოსი ანტონ ცერბი სიბერის გამო სამსახურიდგან გამოდის და მის მაგიერ ინიშნება გერმანელ კათოლიკეთა ეპისკოპოსთაგანი, შთამომავლობით ბარონი. ახლად დანიშნული ეპისკოპოსი, რასაკვირველია, ამ შემთხვევით ისარგებლებს და საქართველოსაც მოივლის, ჩვენს კათოლიკებსაც გაიცნობს, რადგან საქართველო და მთელი კავკასიაც ამ ეპისკოპოსის სამწყსოა.

დიდი ხანია, რაც საქართველოში ევროპიდგან კათოლიკეთა ეპისკოპოსნი არ შემოსულან: მხოლოდ ორნი იყვნენ XVIII საუკუნეში; აზიიდგან-კი, ანუ ასურეთიდგან, რამდენჯერმე მოსულან. რუს-ოსმალთა ომიანობის გათავების შემდეგ, 1880 წ. ტფილისში მოვიდა ართვინის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ზაქარიანი, შთამომავლობით ქართველი, რომელმაც ტფილისში წირვის დროს იქადაგა და თავის ვინაობა ქართველად აღიარა, თუმცა სომხურადკი სწირა.

რუსთაგან ბათუმის ოლქის შემოერთების აქეთ ქართველ კათოლიკეთა რიცხვი ერთობ მცირე იყო. ძველადგან აქ სცხოვრობდა მხოლოდ ერთი ოჯახი ქართველ კათოლიკე მჭედლიშვილებისა, რომელთა შთამომავალნი დღესაც არიან ბათუმში. ამათ გარეშე ძველ მკვიდრთ ბათუმის მცხოვრებლებში თითქმის არავინ არის, სულ აქეთ-იქიდგან არიან მოსულნი.

დღეს ბათუმში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი რამდენიმე სულისაგან შესდგება და ყველანი მესხთა და ჯავახთა შთამომავალნი არიან. ზოგიერთებს გვარები გადაკეთებული აქვსთ, მაგრამ ეს არ არის ჩვენთვის უცხო და უცნობი. ოსმალთა მფლობელობის დროს ქართველთ კათოლიკეთ ჩვეულებად ჰქონდათ გვარების გადაკეთება, უფრო-კი თათრულად, და სწორედ ამიტომ არის, რომ დღევანდელ ქართველ კათოლიკებში ნახავთ ასეთს გვარებს: ყაუხჩოვი, გოზალოვი, ყალაიჯოვი, ისკანდაროვი და მრავალიც სხვანი.

ბათუმის ქართველი კათოლიკობა უმეტესად ვაჭრობას მისდევს. მათში, დროის შესაფერად

ფელეტონი

მგზავრის შენიშვნები

(ვაგონში გაგონილი, ნახული და ნაფიქრი)

ხშირად, რკინის გზით მოგზაურობის დროს, ვაგონში, სადაც ათასნაირი ჯურის ხალხი ხვდება ერთმანეთს, კაცი ბევრ რასმე ისეთს გაიგონებს, რასაც საზოგადო მნიშვნელობაცა აქვს. ამიტომ ეს გაგონილი, ნახული და ნაფიქრი შეიძლება ბევრმა წაკითხვის ღირსად სცნოს.

რადგან ნოვოროსიისკს ახლო შავი ზღვა მეტად აღელდა, იძულებულნი შევიქენით ბევრნი გემით მიმავალნი ოდესაში ამ ქალაქიდგან რკინის გზით წავსულიყავით. მივდივართ ვლადიკავკავის რკინის გზით. გავშორდით ყუბანს, რომელიც ითვლება საზღვრად კავკასიისა... ეკატერინოდარსა და ტიხორეცკში თურმე ბუფეტები იმერლებს სჭერიათ. ერთმა რუსმა უთხრა მეორეს, აქაც იმერლებს უკავიათ ბუფეტიო. „Около Петербурга-ც იმათ ხელში არისო, იმათ ეს საქმე უფრო კარგად მიჰყავთო“,—უპასუხა მეორემ.

სხვა მრავალ მოგზაურთა შორის იმ ვაგონში, სადაც მე მოვხვდი, ორნი ბაასობდნენ: ერთი საკმაოდ მოხუცი „მეშჩანინი“, ახლა რკინის გზებზე რაღაც მუშების ზედამხედველი, ლიტერატურულის კილოთი და მჭევრმეტყველურად მოლაპარაკე. მეორე ახალგაზდა, ბევრგან რუსეთში ნახეტიალი. იგი, როგორც თვითონ მოგვითხრო თავისი ბიოგრაფია, ერთ დროს თურმე ღვინის საქმეს სწავლობდა ყირიმში, შთამომავლობით პსკოვიდგან იყო და ახლა კალუგის გუბერნიაში მცხოვრები და მემამულეა. ამას ციმბირში, ქ. ომსკის ახლო, რამდენიმე ასი დესეტინა უყიდნია, (რვა მანეთად დესეტინა), ახლაც კავკასიაში შავის ზღვის პირად თუაფსეში მიწის საყიდლად ყოფილა; ეყიდნა კიდეც და იქიდგან დაბრუნებული მიდიოდა თავის მამულში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ესეცა და სხვა ამისთანებიც მიწებს ჰყიდულობენ შავი ზღვის პირად სპეკულიაციის აზრით და არა იმიტომ, რომ გააშენონ, დასახლდნენ და სხვ. თვითონაც აღიარა ეს თვისი განზრახვა; ახლა ციმბირში რვა მანეთად ვიყიდე დესეტინა მიწა, ვნახოთ ორის წლის შემდეგ რა ფასად გავიდეს დესეტინაო; ჯერ ახლაც რვა წილს მეტს მაძლევენო. სწორედ იმ დღის „Приднѣпровск. край“-ში „Земельная горячка“-ს სათაურ ქვეშ აი რა ამოვიკითხე:

„საკვირველ ამბებს სწერს მიწის სპეკულიაციის შესახებ სოჭაში (ჩერნომ. გუბ.) ერთი მოგზაური „Южн. Обозр.“-ს. რა ამბავი ჰხდება აქ მიწის შესახებ, გონებისთვის მიუწდომელია: ისინი, რომელთაც 5 და 3 წლის წინად შეღავათიანის პირობით შეუძენიათ დესეტ. 70 მანეთად, ეხლა ჰყიდიან იმავე დესეტინას 3,000 მანეთად. ქალაქში-კი საჟენი იყიდება 8—10 მანეთად. მიწის ფასი სოჭის ახლო-მახლო მიუწდომელი შეიქმნა. მიწის ნაჭერი, რომელიც ნაყიდი იყო 750 მან., გაიყიდა 30 ათას მანეთად. А продавецъ бѣжитъ домой, „въ Рассею“, покупать себѣ хуторъ“. („Приднѣпровскій Край“, 1902 წლ. 26 ივნ. № 1507).

ზემოხსენებულ ორთა შორის ჩამოვარდა ლაპარაკი სტუდენტობაზე და გლეხთა მოძრაობაზე, რომელიც იმ ჟამად მოჰხდა რუსეთში.

მოხუცი მეშჩანინი ამბობდა: გლეხების წინააღმდეგ მკაცრ ღონის-ძიებათა მიღება, არ იფიქროთ, სასარგებლო იყოს. ავი თავის დღეში ავით არ დაიძლევა. გაიხსენეთ სახარების სიბრძნე: ბოროტი მხოლოდ კეთილით, მადლით დაიძლევაო.

მეორე-კი უფრო კონსერვატორი გამოდგა. იგი ამბობდა: ჩვენი გლეხ-კაცობა ხეტიალს დაეჩვია, მუშაობაზე გული აიცრუვა; კავკასიაში, კასპიის იქითა მხარეს, მანჯურიაში მიდიან; საზამთროდ შინ ხელ-ცარიელნი ბრუნდებიან. „ჩვენ ბიშტექსი ვჭამეთ, ვეატრში (ასე ამბობდა) ვიყავით“—ამას ამბობენ და ამით ტრაბახობენ, ხოლო ცოლშვილისათვის გროშიც აღარ მოაქვთ. მოტანა-კი არა, მოსვლისათანავე, ცემას დაუწყებენ ცოლებსაო. „ჩვენი მოწეული პური მაინც არ შეეჭამათო, ისაყვედურებიან დედაკაცები მამაკაცებზედ. ხვნა, თესვა, მკა, თიბვა,—ყველაფერი ქალებს აწევთ კისრადა. ერთხელ მთესველები დავიბარე. მეორე დღეს ქმრებს დედაკაცები გამოეგზავნათ. მე გამიკვირდა, მეგონა მარტო მე თუ მომექცნენ ასე მეთქი. თურმე საზოგადოდ აქ ასე ყოფილიყო. ოღონდ გულდადებით იმუშავოს გლეხმა და ამისთანა (ხელი გაიშვირა თვალ-გადაუწვდენელ ტრიალ მინდვრისაკენ, რომელიც წარმოადგენდა შავს მეტად ნაყოფიერ ნიადაგს) მადლიანი მიწა განა ვერ არჩენს გლეხ-კაცობასაო?!

—არა... გლეხი ჯაჭვით მიბმულ ძაღლს ჰგავდაო,—განაგრძო პირველმა. აიღეს და გაუშვეს უმეცარი, უმიწა-წყლო. აბა, რა ჰქნას, უნდა ასე იხეტიალოსო. ბანკებმა და არაყმა ხომ მთლად დაჰლუპა გლეხობა...

მგონია, ქალები რუსეთში და საზღვარ-გარედ გაცილებით მეტს მუშაობენ, ვიდრე ჩვენში. გაიხედავთ მატარებლიდგან, აქეთ-იქით ჰხედავთ, რომ ქალები მამაკაცებთან ერთად ფეხშიშველანი მკიან, ჰკრავენ, თივას აგროვებენ, ურმებზე უდებენ, დატვირთულ ურმებს მიუძღვიან. რკინის გზის სადგურებზედ ათასი რამ გასაყიდი ჩამოაქვთ. ბევრგან ხვნათესვაც საკუთრივ დედაკაცთა ხელშია.

დასავლეთ ევროპაში? იქაც მინდვრის მუშაობას მამაკაცებთან ერთად ქალებიც ეწევიან: მკიან, სთიბავენ (თუმცა უფრო იშვიათად), თივას აბრუნებენ, ურმებზე უდებენ და შინ მიაქვთ თივა და პური. ბოსტანს ჰმარგლავენ, კარტოფილს უვლიან. შვეიცარიაში რაღაც ბოჭკის მზგავს ქესტის ჭურჭელს ზურგზე მოიკიდებენ და რძე მყიდველთან მიაქვთ, თუ ახლოა. ან ქალი ცხენებ შებმულ ურემს მიაქანებს და ქალაქში ჩააქვს რამე გასაყიდი. არა თუ ბოსტანს აკეთებენ, არამედ საბოსტნე და საყანე მიწებს მამაკაცებთან ერთად ანოყიერებენ საქონლის პატივის დაყრით, ან **მოხზმით**. გააქვთ ეს პატივი და სასუქი უფრო ხელის ურმებით, ან საქონლით. ერთის სიტყვით, მიდვრის მუშაობის დროს მუდამ მამაკაცს გვერდით უდგია დედაკაციც და ეხმარება.

ახლა ქალაქის კაფე-რესტორანების მოსამსახურე ქალები, ეს Zimmermodchen-ები და სხვა გაიხსენეთ. არაქათ გამოლეულნი, დაქანცულნი, გონებრივად და ხშირად ზნეობრივად დაცემულნი, ეს მუშა ქალნი დიდს ჯაფაში არიან.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენშიაც ქალები არ მუშაობდნენ, მაგრამ რომ ამდენ შრომას არ ეწევიან, ეს უეჭველია თუ, რასაკვირველია, მთის ქართველობას არ ვგულისხმებთ. მინდვრის მუშაობაზედ, მაგალითად სამეგრელოაფხაზეთში, ქალები მხოლოდ ნამუშავარის შემოტანის დროს გადიან და ამ დროსაც შედარებით უფრო მსუბუქ საქმეებს აკეთებენ: სიმინდის მოტეხა, კალათში ჩაყრა, ლობიოს მოკრეფა და სხ. სხვა დროს უფრო ყანაში სადილის მიტანაა მათი საქმე. ძალიან იშვიათად, და ისიც აფხაზეთში, თუ ამოუდგება ქალი მამაკაცს გვერდში სიმინდის გამარგვლის დროს. აქა-იქ ქვრივი ქალები თუ ჰშველიან მარგვლა-თოხნაში მამა-კაცებს. ხვნა, თესვა, თიბვა ქალისა არც-კი მინახავს ჩვენში. ქალის მინდვრად მუშაობა ისე გასაკვირად მიგვაჩნია, რომ ლექსშიაც ვამბობთ:

„არ მენახა, გამიკვირდა მუშაობა
დიაცისა“-ო

როცა ზემოხსენებულნი მობაასენი ერთმანერთს განშორდნენ, თუაფსეში მიწის მყიდველი მე მომიბრუნდა და, რაკი შემატყო, მე ქართველი ვარ, მითხრა: მართალია, რომ ქართველობაზე ასე და ასე ისმის, რუსებს ავის თვალით უცქერიან; ჩვენ, რუსებს, გვეცილებიან თურმე შავი ზღვის პირსა და სხ.

მე ვუთახარი: ქართველობას ასეთი საყვედური არაფრით დაუმსახურებიათ. რუსის საქმისათვის რუსებთან ერთად ქართველობასაც სისხლი უღვრიათ-მეთქი.

— რაც შეეხება ცილობას, ამაზე აი რას მოგახსენებთ: საქართველო, განსაკუთრებით

გავრცელებულია ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ოჯახს ვერ ნახავთ, რომ რაიმე ქართული წიგნი ვერ ნახოთ. ერთის სიტყვით, დღეს მთელი ბათუმის ქართველი კათოლიკობა ერთს მჭიდრო საზოგადოებას წარმოადგენს, რომელსაც კარგად ესმის თავისი ვინაობის ამბები და ამიტომ, მგონია, ამათ გვაროვნობას მომავალში ის ხიფათი აღარ მოევლინება, რაც სომეხთ კათოლიკეთაგან ართვინელ ქართველ გვარის კათოლიკებს მოუვიდათ.

ზ. ჭ.

უცხოეთი

ინგლისი. ლონდონში ხმა გავარდა, ლორდ რობერტსი მალე დაანებებს სამსახურს თავსაო. მთავარ სარდალმა მეფე ინახულა და სამსახურიდგან გასვლის სურვილი განუცხადა. რობერტსის მოადგილედ, ამბობენ, მეფის ძმა, კონნაუტის ჰერცოგი დაინიშნებაო. რობერტსი სექტემბრის 17-ს შესრულდება 70 წლისა.

— სიდნეა ჲ მელბურნიდგან დეპეშას დეპეშაზედა ჰგზავნიან იმ საძრახ მოქმედებათა შესახებ, რომელიც ჩაუდენიათ ახალშენთა ჯარების სამხრეთ-აფრიკიდგან ახალ-ზელანდიასა და ავსტრალიას გაგზავნის დროს.

იმდენი ჯარის კაცი მოეთავსებიათ თითო გემზედ, რომ საძრავი არა ჰქონდათ; მაგ., „Melbourne“ გემში, რომელიც მხოლოდ 700 კაცს იტევს, 1,500 ჯარის კაცი ჩაუსხათ. ასეთს სივიწროვეს ის ცუდი შედეგი მოჰყვა, რომ გემებზედ გახშირდა სხვა-და-სხვა სენი. „Drayton Grande“ გემზედ 9 კაცი მოკვდა და 90 ავად გახდა; „Britannic“-ზედ—10 მოკვდა, 55 ავად გახდა. როდესაც „Orient“-ი ველლინგტონის ნავთ-სადგურში შევიდა, იგი „ნამდვილს სალორეს წარმოადგენდაო“. გემზედ ბევრი იყო წითელათი ავად, მაგრამ საბრალონი ისეთს სიბინძურეში იმყოფებოდნენ, რომ კაცის ენა ვერ ასწერსო. ავსტრალიაში მეტად განრისხებულნი არიან სამხედრო მინისტრზედ, რომ ასე უდიერად მოექცა ჩვენს მხედრობასაო.

შეერთებული შტატები. გაზეთ „Sun“-ის სიტყვით, მოკავშირეთა მთავრობას თათბირი აქვს იმ საკითხის შესახებ, რომ კუნძულები ჰაიტი და სან-დომინგო შემოიერთოს. მთავრობას ის განზრახვა აქვს, რომ ამერიკის ფლოტს ახალი და თანაც საიმედო ნავთ-სადგურები გაუჩინოს, და, გარდა ამისა, ბოლო მოუღოს ამ რესპუბლიკებში განუწყვეტელს რევოლიუციებსაო.

ბელგია. რეიტერის სააგენტოს აცნობებენ სპადგან, ბელგიის დედოფალი ბევრად უკეთ არისო: ჯერ-ჯერობით მაინც არავითარი შიში არ უნდა გვქონდეს მის ჯანმრთელობის შესახებაო. დედოფალმა უკანასკნელი ღამე კარგად გაატარა და დილით ეტლით გაისეირნაო. ბიულეტენი აღარ დაიბეჭდებაო.

სამხრეთ-აფრიკა. როგორც კაპშტადტიდგან იუწყებიან, მორგანსა და ჯენკინს, რომელნიც ინგლისის მთავრობამ გაჰგზავნა სამხრეთ-აფრიკაში ადგილობრივ ვაჭრობის მდგომარეობის გამოსაკვლევად, განუცხადებიათ ერთ ჟურნალისტისათვის, რომ ჩვენ მიერ შეკრებულმა მასალამ სწორედ განცვიფრებაში მოგვიყვანა, სამხრეთ-აფრიკის მდგომარეობა ბევრად უფრო ცუდს მდგომარეობაშია, ვიდრე ჩვენ ვგონებდითო; ამ ბედშავ ქვეყანას კიდევ უარესი მოელის, რადგან მონოპოლია და ტრესტები მეტად უშლის ხელს ვაჭრობის განვითარებასაო.

— ახალი კაბინეტი ბალფურისა და ჩემბერლენისა, როგორც „Messager de Bruxelles“-ი იუწყება, არავითარ ღონეს არ ჰზოგავს, რომ როგორმე მიაფუჩეჩოს ერთი სამარცხვინო საქმე, რომელიც ირლანდიის დეპუტატებს გამოუმჟღავნებიაო.

ერთს კაპშტადტელს მუდმივს მცხოვრებს, სტანფორდს, საქვეყნოდ განუცხადებია თავისი უკმაყოფილება, ჩემი თანამემამულენი (ინგლისელნი) უკიდურეს სიმძულვარეს იჩენენ სხვა ერთა მიმართო. ამას მეტად გაუბრაზებია 8 ინგლისელი ოფიცერი, დაუჭერიათ სტანფორდი და საშინელი ტანჯვა-წვალება მიუყენებიათ. სასამართლოს ოფიცრები დაუჯარიმებია მომჩივანის სასარგებლოდ, მაგრამ ლორდ კიტჩენერს არ დაუმტკიცებია სასამართლოს განაჩენი და განუცხადებია, რომ ოფიცრებმა მხოლოდ „უხუმრეს“ სტანფორდსაო და, განა ხუმრობისათვის შეიძლება კაცის დასჯაო. გარდა ამისა კიტჩენერმა ისარგებლა თავის უფლებით და ამ ხუმრობის შესახებ ხმა არავის ამოაღებია გაზეთებში.

სხვა-და-სხვა წერილები

ხმა შორიდგან.

(კიდევ უცნაურ „ესკიზის“ გამო).

სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ უნდა შევეხო იმ უცნაურ „ესკიზს“, რომელზედაც „ივერიის“ № 159-ში (ივლისის 28, 1902 წ.) მქონდა ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ „ცნ. ფურ.“ რედაქცია ერთობ გაუგულისებია ჩემს შენიშვნას და თავის გაზეთის № 1882-ის „პრესსაში“ მიკიჟინებს: „ბ-ნ დუტუ მეგრელს ვერ გაუგია, საუბედუროდ, ამ ამბის („უტუ ხუნცურავა“) შინაარსი, ამდგარა და მეგრელების ვექილობა უკისრნია, ბრალსა სდებს ავტორს, ვითომც მას მეგრელების დამცირება უნდოდა: რომ მეგრელები, გარდა მატერიალურის ინტერესისა, არაფერს აფასებენ. საკვირველია ზოგიერთის ადამიანის საქმე: უნდა უთუოდ თავისი გაუგებრობა სხვისის უსინდისობით ახსნას, უნდა უთუოდ გამონახოს სხვის გულში რამე ცუდი განზრახვა და ფიქრი. აბა რა მოსატანი იყო, რომ ვითომც ავტორს ან გაზეთს უნდოდა საზოგადოდ მეგრელების დამცირება. თუ გნებავთ აქ საზოგადოდ ქართველების დამცირებაა, მაგრამ არა გაზეთის მარივ, სადაც ეს ამბავი დაიბეჭდა. ნუ თუ ბ-ნმა დ. მეგრელმა არ იცის, რომ არც ავტორი და არც გაზეთი არ არის პასუხის მგებელი ბელეტრისტულის ნაწარმოების რომელისამე მომქმედი პირის სიტყვებისა და მოქმედებისათვის?!“

როგორც მკითხველმაც იცის, მე სრულიადაც არ დამიდვია ავტორისათვის ის ბრალი, ვითომც მას განგებ ნდომოდეს მეგრელების დამცირება. მე მხოლოდ მოვიყვანე დაწვრილებით, თითქმის სიტყვა-სიტყვით, მოთხრობის შინაარსი და ვიკითხე, რა უნდოდათ ამით ეთქვათ, „ნუ თუ ის, რომ მეგრელი იმდენად დაცემულია სულით, რომ არც პირად შეურაცხყოფისთვის, არც მთელის ეროვნების აბუჩად აგდებისთვის და არც თვით საყვარელ ცოლის ულირსად ხსენებისათვის არავის პასუხს არ გასცემს, და მხოლოდ, თუ მის ჯიბეს შეეხეთ, მატერიალური ვნება რამ მოუტანეთ, მაშინ გამოიღებს ხელს?“-მეთქი, და იქვე დავსძინე-„თუ მოთხრობის შინაარსს მივხედავთ, სხვა აზრი არაფერია და შეიძლება, თვით ავტორსკი სხვისა რისამე თქმა უნდოდა, მაგრამ თქმით-კი მხოლოდ ესა სთქვა“-მეთქი. თქვენ რომ ძაღლი დახატოთ ლომის მაგიერ, რომლის დახატვაც გქონდათ აზრათ, უნდა იმ რუს მხატვარივით მაინც მოიქცეთ, რომელმაც პირდაპირ დააწერა თავის ნახატს: „Се левъ, а не собака“ო, თორემ ჩვენ რა შუაში ვართ, თუ თქვენს გულში ჩამარხული განზრახვა ვერ გამოვარკვიოთ? დიაღ, სად საზოგადოდ, როგორც „ცნ. ფურ.“-ის რედაქცია ამბობს: „ჩვენი (ქართველების) ზნეობრივი დაცემა, სიბეჩავე და სიგლახაკე“ და სად „უტუ ხუნცურავა?“ თუ მართლა საზოგადოთ ქართველების სიბეჩავე უნდოდა დაეხატა ავტორს, გმირადაც საზოგადოთ ქართველი უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, ქართველთა საზოგადო ნაკლულევანებებით, და არა კერძოდ მეგრელი, ვითომდა განსაკუთრებულად დაცემული ყოველნაირად!..

„ნუ თუ ბ-ნმა დუტუ მეგრელმა არ იცის, რომ არც ავტორი და არც გაზეთი არ არის პასუხის მგებელი ბელეტრისტიულის ნაწარმოების რომელისამე მომქმედ პირის სიტყვებისა და მოქმედებისათვისო?“ დიდის რიხით კითხულობს რედაქცია. რა ნაირ პასუხის მგებლობაზეა აქ ლაპარაკი? რასაკვირველია მომქმედი პირის სიტყვებს და მოქმედებას ავტორს ვერავინ მიაწერს და არც მიმიწერია, ხოლო როცა განგებ შეთხზულ ამბავს, სრულიად მოკლებულს ბუნებრივობას, რომლის მსგავსის წარმოდგენაც-კი შეუძლებელია, სამხატვრო ნაწარმოებად და ტიპიურ მოვლენად სახავს ავტორი თუ გაზეთი, ყველას აქვს უფლება ანგარიში გაუწიოს! უამისოდ ხომ არც სალიტერატურო კრიტიკას ექმნებოდა ადგილი?..

რაიცა შეეხება იმას, რომ ამბობს რედაქცია: „ჩვენ ვგმობთ უსამართლობას და დაჩაგვრას, ქართველების მხრივ იქნება იგი, თუ სომხებისა; ჩვენ გვინდა ერთობა სამართლიანი და თანასწორ უფლებიანი... და თუ ბ-ნმა დ. მეგრელმა წაიკითხვა არ იცის, ჩვენ ნუ გვდებს ბრალსო“, უნდა მოვახსენოთ, რომ მეც სწორედ ამ აზრისა ვარ, მაგრამ რადგან ჯერ-ჯერობით ქართველებისაგან დაჩაგრულ სომეხს ვერსად ვერ შევხვედრივარ, სომხების გამოსარჩლებაც ამ შემთხვევაში გადამეტებულად მიმაჩნია...

დუტუ მეგრელი.

თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 7 აგვისტოს მეორედ მოისმინა დიდის სიამოვნებით საზოგადოებამ ტფილისის „კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში ახლად ნოტებად დაწყობილი ლეკური თ. მ. ჯანდიერის მიერ. ეს ახალი მუსიკალური პიესა შეასრულა ბ-ნ სერბულოვის ორკესტრმა ქართულ საერო მუსიკის მოყვარულთა თხოვნისამებრ.

საზოგადოება სწორედ რომ დასტკბა ესტეტიურად, ისე ჩინებულად გამოვიდა ეს ახალი ლეკური. მოესმა თუ არა იქ მყოფ საზოგადოებას თავისებური ხმები, ყველამ ყურები სცქვიტა და სმენად გადაიქცა. ხმა თანდათან იზრდებოდა და უფრო და უფრო მტკიცედ ისმოდა. დავლურს მოჰყვა აჩქარებული, გაცხარებული ლეკური. მსმენელთ ეგონათ, რომ აგერ ჩვენ წინ სდგას ჯგუფი მხიარულ ქართველთა და უვლის ლეკურს მშობლიურ საკრავთა ხმაზედაო.

მართლაც ხმა ორკესტრისა მეტის-მეტად ჰგავდა ჩვენებურ მშობლიურ სალამურისა, დუდუკ-ჭიანურისა და ნაღარა-დაირის ხმასა. ილიუზია იმდენად ძლიერი იყო, რომ გეგონებოდათ ამ მუსიკაში ტაშის-კვრაც-კი ისმისო, ის ტაშის-კვრა, რომელიც აუცილებელია ლეკურის თამაშის დროს.

სწორედ მადლობის ღირსია ბ-ნი სერბულოვი, რომელმაც ასეთის ნიჭიერებით დააწყო ეს ხმა ორკესტრისათვის დასაკრავად და ასე მოხდენით და შნოებით განახორციელა საერო ხასიათი პიესისა, რომელიც ორკესტრმა მართლა რომ დიდის აღფრთოვანებით შეასრულა ლამაზად და მწყობრად. საზოგადოებამ გაამეორებინა ორკესტრს ეს დავლურ-ლეკური და მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ ახალი პიესა მალე მეტად საყვარელ მოსასმენ ხმად გადაიქცევა საზოგადოებისათვის.

—

ხონი. 16 ივლის მასწავლებელთა კრებამ დაადგინა, აიღოს თეატრი. ამოარჩიეს კომიტეტი ხუთის წევრისაგან; ერთად-ერთი წევრი კომიტეტისა არის ექიმი ბ. კიკალიშვილი, რომელმაც გადასცა თეატრი მასწავლებლებს. ხსენებულ კომიტეტმა ჩაიბარა თუ არა თეატრი, მე 5-ე დღესვე გამართა წარმოდგენა. როგორც „ივერია“-ში იყო მოხსენებული, მასწავლებელთა კრებამ აირჩია თვითონ აიღოს თეატრი და სახალხო წარმოდგენები ჰმართოს, მაგრამ ეს არ გაამართლა მის-მიერ ამორჩეულ კომიტეტმა, რადგან წარმოდგენები კიდევ არ არიან ფას-დაწეული: 1 რიგი—70 კაპ.., უკანასკნელი—25 და გალერეა-კი 10 კ... ამაზე მკითხველიც დამეთანხმება, რომ ამისთანა წარმოდგენები სრულებით არ არის „სახალხო“, და მართლაც ხალხი კიდევ არ დაიარება იმდენი, რამდენიც უნდა დაიარებოდეს. იმედია, კომიტეტი ყურადღებას მიაქცევს ამას და შემდეგში მაინც გამართავს „სახალხო წარმოდგენებს“, რომლის მოსასმენად მოსულთათვის ბილეთი ეღირებოდეს 5 კაპ. და არა 10 და 25 კაპ.

მუშა.

—

როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, ხვალ, 11 ამ თვეს, ს. კასპში, დანიშნულია საქველ-მოქმედო წარმოდგენა. მონაწილეობას მიიღებენ ქართულის დრამატიულის დასის არტისტები. ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი. ბ-ნნი: გუნია, შათირიშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, ბეგლარიძე და სხვანი.

—

15 აგვისტოდამ „ბელვიუს“ ბაღში, აქაურს საზაფხულო სცენაზედ, რომელზედაც შანსონეტის მომღერალი ქალები დაიწყებენ კონცერტების გამართვას. ბაღის გასანათებლად ხეივნებში დაიდგა ვაშინგტონის სისტემის ფანრები.

ნარკვევი

„ცნობ. ფურცლის“ გუშინდელს ნომერში (1891) ბ-ნი კალამი, ღვთისა და „ივერიის“ წყალობით გონებაზედ მოსული [illegible] სიხარულს აცხადებს, რომ „ჩვენს საზოგადოებას და პრესას გაეღვიძა ინტერესი სომხებისადმი“ და „ითარგმნება სომხური წერილებიც ჩვენის ერთი-ერთობის შესახებ“. ნეტავი ვიცოდეთ, როდის გადათარგმნა „ცნობის ფურცელმა“ სომხური წერილები, თუ არ თავისებურად გადააკეთა გაზ. „ივერიის“ ნათარგმნი და „ივერიაშივე“ დაბეჭდილი. ესეც ხომ ისეთი ძველი ამბავი არ არის, როგორც ის, ვინ არის მამა ქართულის პრესსისა, და როდის ასტყდა სომეხთა და ქართველთა შორის უთანხმოება.

რაიცა ამ საგნებს შეეხება, ბ-ნს კალამს ეტყობა, მეხსიერება ჰღალატობს, რადგანაც ს. მესხის წინად ქართ. პრესის რედაქტორები და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები სხვებიც ყოფილან და იმ დროის რედაქტორებსაც სომხების წინააღმდეგ ბევრი დაუწერიათ. რა კარგია ერთის მხრივ უსუსური ბავშვობა და რა ძნელია მეორეს მხრივ ბავშვის უცოდინარობა! ჩაიხედა ჩვენმა ნორჩმა „ცნობ. ფურცელმა“ ძველს მწერლობაში და აღმოაჩინა, რომ თურმე უწინაცა ჰკიცხავდნენ ჩარჩსომხებს, და დღევანდლამდე კი ეგონა, „ბრძოლა ტფილისის არჩევნებზე მხოლოდ უკანასკნელ ათ წელიწადს დაიწყო; ნამდვილად-კი როგორც სჩანს 25 წლის წინადაც ცხარე შეტაკება ჰქონიათ ქართველებს და სომხებს“. აბა გამოიცანით ეს გამოცანა? დიამც იყოს, დიამც იყოს, „ცნობის-ფურცლის“ უმეცრება.

— გაზ. „ჩერნომ. ვესტნიკი“ დაცინვით სწერს, ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილია ინტერესს არ მოკლებული ცნობა იმ კავკასიელთათვის, რომელთაც თავადის ღირსება აქვთო. უმთავრესმა შტაბმა და ჰეროლდიის დეპარტამენტის ჰეროლდ-მეისტერმა განკარგულება მოახდინეს, რათა ამიერიდან თავადი ამილახვროვი იწოდებოდეს ამილახორადაო. ოპერეტისა და ვოდევილების მოთამაშე პალმს ეტყობა სასაცილო და სამასხარო სხვა ვეღარა უნახავს-რა ცხოვრებაშიო.

ბიბლიოგრაფია

Историческій очеркъ о дѣятельности Цинамдзгваріантъ-карской школы. Тифлисъ. 1901 г.

სამეურნეო სკოლა წინამძღვრიანთ-კარში დაარსდა 4-ს სექტემბერს 1883 წელს. მასში სწავლა მიიღო 328 კაცმა; მათ შორის გლეხია 156, თავადი—47, აზნაური—76, სასულიერო—29, მოქალაქე—8. ქართველები—313, რუსი—2, სომეხი—11, მაჰმადიანი—2. სკოლის შესანახად შემოვიდა 73,272 მან. 86 კ. და დაიხარჯა 99,243 მან. ბაღი, ზვრები, შენობები სკოლისა ღირს 69,159 მანათად...

სკოლაში საქმე სამაგალითოდ მიდიოდა. მზრუნველი ილია წინამძღვრიშვილი, მასწავლებელნი დიდის ხალისით ეკიდებოდნენ სკოლის გონივრად წარმართვის საქმეს. ამას მოწმობენ ეგზარხოსები, დირექტორები, ინსპექტორები და სხ., რომელთაც ეს სკოლა დაუთვალიერებიათ, ყმაწვილები გამოუცდიათ და თავის ხელით სკოლის დავთარში ჩაუწერიათ თვისი შთაბეჭდილება.

სკოლას შესაჩნევი ზედ-გავლენა ჰქონია სოფლელთა მეურნეობის ძღოლძინების საქმეზედ. აქ სწავლა-მიღებულთა განათლება შეუტანიათ ჩვენის ქვეყნის შორეულ კუთხეებ-

---

დასავლ. საქართველო, მეტის-მეტად მჭიდროდ არის დასახლებული; თქვენ ციმბირში რვა მანეთად გიყიდნიათ დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ნაწილში 800 მანეთადაც ვერ იშოვნით დესეტინას; მომრავლებულ მცხოვრებთ მიწა აღარ ჰყოფნით და ამიტომ ხალხი ბედის საძებნად იძულებულია სხვა-და-სხვა მხარეს მოედოს; ასეთნი უმიწა-წყლობით გაჭირვებულნი, სხვათა შორის, შავის ზღვის პირადაც ეძებენ ადგილებს და, როცა ასეთებს ზოგიერთი რუსები შეჰხვდებიან, ზოგნი მათგანნი ჰფიქრობენ (გულწრფელად, თუ განგებ,—ამისი რა მოგახსენო), რაღაც, ვითომ-და, ნაციონალურს მოციქულობას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ რუსობას ეძლევა ყოველგვარი უპირატესობა და შეღავათი შავის ზღვის პირად მიწების შეძენაში, აი აქ, ტიხორეცკსა ჲ ეკატერინოდარში იმერლებს ბუფეტები გაუმართნიათ. რა ეროვნულ მეტოქეობის ძალით შეეძლოთ ეს მოეხერხებინათ? ახლანდელი ცხოვრება სად არ წაიყვანს სადაურსა?!

— ჰო, ეგ მართალიაო—მითხრა ჩემმა მოსაუბრემ,—აი მაგალ., მე და თქვენი ეგზარხოსი ორივე პსკოველნი ვართ, მაგრამ მე სადა ვარ და რა საქმეს ვადგივარ, და მისი მეუფება სადა და რა საქმეს ემსახურებაო.

კარგა ხანს ვიბაასეთ კიდევ და განვშორდით ერთმანერთს.

მე დასავლეთისკენ წავედი, ვოლოჩისკამდე. ადგილ-მდებარეობა ცოტა უფრო მაღლდება, გორები ჩნდება. ტყეც მატულობს. აქა-იქ პურსა სცელვენ, აქა-იქ შარშან დასვენებულ მიწას ცხენებით, ან ორ-სამ უღელ ხარით ჰხვნენ საზამთრო პურის დასათესად. დედაკაცები ამ სიცხე-პაპანაქებაში კარტოფილს უვლიან. აქა-იქ გოლვისაგან პური ცოტა გაფუჭებულა. გლეხების „ფეჩებიანი“ სახლები ყველგან ჩალით არის გადახურული. ასე ჩალით გადახურული სახლები, არა თუ რუსეთში, ვენას ახლოც ხშირია. შვეიცარიაში, რასაკვირველია, ერთსაც ვერ ჰნახავ ჩალით დახურულს სახლს.

ვაგონში ახლა ერთი ფერშალი და ერთი ოდესელი წვრილი ბურჟუა ლაპარაკობენ. საგანი ლაპარაკისა იგივე გლეხების მიერ ჩადენილი უწესოებაა. ფერშალი ყველაფერს სწავლა-განათლების გაუვრცელებლობას, უმეცრებას აბრალებს. სკოლის საქმეს მასწავლებლები გულ-აცრუებით უყურებენ. მღვდელი სკოლას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, თითქმის საღმრთო რჯულსაც არ ასწავლის. ანა-ბანას და კითხვას შეასწავლიან და გათავდა. ამისთანებს მიაჩეჩებენ ხელში წიგნებს, და გზა-კვალს უბნევენ. ან რა უნდა გამოვიდეს ისეთის მასწავლებლისაგან, რომელიც 23 მანათს იღებს თვეში, და ან ვინ წავა მასწავლებლად, თუ არ ორ-კლასში ძლივს ნასწავლიო?

მეორე, ოდესელი ბურჟუა, უფრო ეკონომიურ მიზეზებს აბრალებდა გლეხების მოძრაობას და მიწის უსწორ-მასწორო განაწილება მიაჩნდა ყოველ უბედურობის მიზეზად.

ავსტრია-უნგრეთსა და ვენაში ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმიერო დავინახე და გავიგონე. ტიროლელთა სახლები რომ ვნახე, რაჭველები გამახსენდა. აქაც სახლები ყავრით გადახურულია და ყავარი—ქვებით დამაგრებული. სჩანს ერთგვარი ბუნება ერთგვარ კულტურას ჰქმნის ხშირად, პირველში მაინც. ქალაქ ინსბურგში ბევრ ხანს მოგვიხდა გაჩერება. ეს ქალაქი თითქმის ირგვლივ გარ-შემორტყმულია მაღალის მთებით, რომლებზედაც ჯერ თოვლი არც-კი იყო აღებული. კვირა საღამოა და ქალაქი თითქმის დაცალიერებულია: არავითარი მოძრაობა ხალხისა არა სჩანს. მოვიდა მატარებელი და ვაგონებიდგან გამოცვივდა ხალხი. რამდენისამე ხნის შემდეგ მეორე, მესამე მატარებლებმაც მოიყვანა ხალხი; აქ იყვნენ დიდი, პატარა, ქალი, კაცი, თითქმის ყველას **ზურგზედ ეკიდა საგზალი**, ხელში ეჭირა ჯოხები. რა ამბავია? დღესასწაული რამ ხომ არ არის მეთქი? ვერა ჰხედავთ, რა მშვენიერი დარია, ქალაქი დაიყო რამდენსამე ჯგუფად და სასეირნოდ წავიდნენ მთებისაკენო, მართლაცა და თითქმის ყველას ალპის მთების ყვავილების კონა მოჰქონდა. ბევრი თოფიანიც იყო. ერთს შველი მოეკლა და თავ-მომწონედ მოჰქონდა ზურგზე გადაკიდებული. უამისოდაც კაი ფერ-ხორცის მქონენი, ახლა სიარულისაგან გაღაჟღაჟებულნი იყვნენ. კაცებისა და ქალების მხიარული ლაპარაკი, ბავშვების სიცილი კაცს უნებურად სიამოვნებას ჰგვრიდა და... ჯავრი და შური აღმძრა გულში, სამშობლო გამახსენდა.

ჩვენ ქართველები სამწუხაროდ, ბევრი თავისუფალი დროც რომ გვქონდეს, მაინც ასეთ ერთობას ვერ გამოვიჩენთ, რომ ასე ერთად ვიაროთ, ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მშვენიერებით დავსკბეთ და მინდვრად მადიანად პური ვსჭამოთ.

ორიოდე სიტყვა პურის ჭამაზედაც. ამ ჩვენს დროს, როცა ცხოვრება ყველგან მეტად გაძვირდა, **მუშაობა** ყველგან არის. მაგრამ, ჩემის აზრით, განსხვავება ჩვენებურ სოფლის მუშასა და ევროპის მუშას შორის ის არის, რომ ჩვენებური მუშა მუშაობს და არასა სჭამს, ხოლო ევროპის მუშა მუშაობს და კიდეც სჭამს. ჩვენ აქ უფრო შვეიცარიის სოფლის მუშას ვგულისხმოთ. ქალაქის მუშა, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო უკეთ იკვებება. სოფლელი მუშისათვის დილით ადრე ყავა უნდა იყოს რძით (უშაქროდ), კარტოფილით ან პურით; ეს არის აქაურ გლეხის დილის საუზმე; შუადღისას სადილი (ხორცი, ან შაშხი, ან ბორსტი. მწვანილი რამ), მეოთხე საათზე სამხარი (ყველი, ხილი, ღვინო) და საღამოზე კიდევ ყავა.

მე ვკითხე ერთს, რამდენჯერ სჭამენ დღეში მეთქი? უკანასკნელ ოთხჯერაო, მიპასუხა მან.

დილა-ადრიან გლეხები სახნავად გასულიყვნენ. ერთს გლეხს უშველებელი ნაჭერი შვეიცარული ყველისა და პური ედო წინ, და საუზმეს მიირთმევდა. რაღაც პატარა ბოჭკის მზგავს ქურქლიდამ ღვინოს დიდ ჭიქაში ისხამდა და აყოლებდა საჭმელს. ამავე დროს გაზეთის განცხადებასაც ათვალიერებდა; ამას რომ ყველი ეკავა, იმისი ნახევარი მთელის ოჯახის საკვებია ჩვენში (სამეგრ.-იმერეთში). და ეს ხომ მარტო დილის საუზმე იყო. ჭადი, ღომი ან პური, მართალია, ჩვენშიაც **უსათუოდ** საკმაო უნდა ჰქონდეთ ოჯახში, მაგრამ შესატანებელი, მისაჭამადი—ორი დამპალი ტარანი და ტყემალი,—აი რა არის ხშირად ჩვენებურ გლეხ-კაცის მთელის ოჯახის საზრდო...

მე ვკითხე ერთ აქაურს: მოსწავლე ბავშვები ჩვენში საუზმეს მიირთმევენ და ისე მივლენ სკოლაში და ნაშუადღევამდის ორ-სამ საათობით რა უჭირთ უჭმელობა-მეთქი.

— თქვენ, ეტყობა-კი არის ასწავლით და არა ზრდით, შიმშილით ჰხოცავთ ბავშვებსაო,—მიპასუხა მან.

ბ-ნი ი. გოგებაშვილი ქართველთა და უცხო ტომის შთამომავალთა სისხლის შერევას (კორწინების საშუალებით) ხსნის საუკეთესო ღონისძიებად ჩვენის ეროვნობის (რასსის) გადასახალისებლად. ჩემის აზრით, ეს ჩვენთვის მაინც ძნელად საჭირო არ არის: ღვთის მადლით, ჩვენ დეგენერაციამდე მისულნი არა ვართ (კერძოდ ორიოდე გვარი აქ ბევრ არაფერს არ ჰნიშნავს). მე უფრო საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი: რომ ქართველი ერი გამრავლდეს, სისხლით და გონებითაც სადი იყოს, ამისათვის ყველაზე უფრო საჭიროა, რომ იგი **უკეთ იკვებებოდეს და ცოტა ნაკლებს სვამდეს.**

ჭამა [illegible] ჰკლავსო, მეტყვიან. ვიცი, მაგრამ ჭამა გონებაზედაც [illegible], უნდა ვუპასუხო მე. ათასნაირი ცრუ-მორწმუნება და უვარგისი ჩვეულება ხალხისა რომ მოისპობოდეს, ზედმეტ (ვითომდა [illegible]) [illegible] და უფრო [illegible] ცოტა რამ მოაკლდეს, საჭმელში გამოზოგავდეს და [illegible] ი. ი. ხანდახან [illegible] (სტუმრობა, წვეულება, ლხინი) „სალოცავებში“ [illegible] უსარგებლოდ არ იხარჯებოდეს, და გონებაც ხალხის ამაღლდებოდეს,—მაშინ, მე დარწმუნებული ვარ, ხალხის [illegible] კვება ცოტა არ მოემატებოდა.

ვ. —ა.

შიაც. ზოგიერთი მათგანი ფრიად გამოცდილ მეურნედ ითვლება; მათ ჯამაგირად 1,200 მანეთამდეც ეძლევათ დიდ მემამულეთაგან. მადლიერნი მოწაფენი არ ივიწყებენ თავის აღმზრდელს სასწავლებელს,ა მასთან სულიერს კავშირს არ სწყვეტენ...

მ. ჯ.

წერილი

რედაქციის მიმართ

კმარა დუმილი!..

„...არა არს ხვაშიადი, რომელი არა გამოცხადდეს“!..

ამას წინად («ივერია» № 130) მე გსთხოვე ჯანაშვილს დაესახელებინა მის მიერ შენიშნული შეცდომები „ბალჰვარ და იოდასაფი“-ს წიგნაკში. პირდაპირ პასუხის მიცემის (ე. ი. შეცდომების დასახელების) მაგიერ, ჯანაშვილმა მიპასუხა სიდრუით სავსე წერილით; ამას ვინ სჩივის, ცილსა მწამებს, მაბრალებს ბ. ხახანაშვილის მოტყუებასა (ვითომც შეცდომებით სავსე პირი გამეგზავნოს მოსკოვს «ბალჰვარ და იოდასაფი»-სა ხახანაშვილისათვის), თან მიკიჟინებს—„ტყუილს მოკლე ფეხი აბიათ!“ მეტი რა ღონეა, უნდა თავი გიმართლო:

ა) ჯანაშვილის საეკკლ. მუზეუმის გამგედ ამორჩევის შესახებ მე კრინტიც არ დამიძრამს და არც რამ მიცნობებია რედაქციისათვის: დამწერი რედაქციამ იცის.

ბ) ჯანაშვილი სრულიად უარჰყოფს—მუზეუმის კომიტეტის წევრთა კრებაზედ ლაპარაკი არ უთფილათ და განაგრძობს—„ნუ-თუ კარბელაშვილს ჰგონია, რომ კომიტეტის ახალი თავმჯდომარე ჯან-ღონით აღსავსე ეპისკოპოსი დიმიტრი... მუზეუმის კომიტეტის პირველსავე კრებაზედ ვისმე ნებას მისცემდა გარეშე საგანზე, ამ შემთხვევაში ხახანაშვილის წიგნის შესახებ, ჩამოეგდო ლაპარაკი, ან შემოეტანა განცხადება“.

დიახ, სწორედ 19 ივნისის კრებაზედ მუზეუმში თვით ეპისკოპოსმა დიმიტრიმ მიბრძანა ზრდილობიანის საყვედურით: „მე ეხლა მითხრეს, რომ აქედგან გაგიგზავნიათ (ეპისკოპოზს კირიონს და მე) ხახანაშვილისათვის მოსკოვს შეცდომებით სავსე გადაწერილი „ბალჰვარ და იოდასაფი“ და შეცდომაში შეგიყვანიათო (ввели въ заблужденіе)„.

სწორე მოგახსენოთ, ძალიან მეწყინა, მაშინვე ავდექ და ვკითხე—ვინ მოგახსენათ-მეთქი?—მოსე კიორგის-ძე ჯანაშვილმაო, მიპასუხა ეპისკოპოსმა. ამიტომ ცოტა არ იყო, გულნატკენმა მოვახსენე ეპისკოპოსს: მე მაგგვარ ლაპარაკს რა უნდა დავარქვა?... ჩემ მიერ გადაწერილი „ბალჰვარ და იოდასაფი“ ეპისკოპოსმა კირიონმა გაუგზავნა ხახანაშვილს 16 სექტემბერს 1901 წ., ხოლო როცა ლაზარევის ინსტიტუტის რჩევის სახელით ხახანაშვილმა დედანიც მოითხოვა (№ № 199 და 833), დედანიც გაეგზავნა და მთელი ხუთი თვე ჰქონდა, დედნის ორი გვერდიც-კი გადაალებინა ფოტოტიპიით და დაურთო თავის გამოცემას. ამის შემდეგ, რა შუაში ვარ ან მე, ან ეპისკოპოსი კირიონი, თუ მოსკოვში წიგნაკი შეცდომებით დაიბეჭდა-მეთქი“?

აი, სიმართლე, რომელსაც დაამოწმებენ—მდივანი კომიტეტისა ბ-ნი ი. ფერაძე, დამსწრე წევრნი—ბერი ნიკოლოოზი, ნ. დ. მახათაძე, მღ. ცინცაძე და სხ. ამის შემდეგ მოდი და ნუ ვკითხავთ ჯანაშვილს—მოკლე ფეხა ტყუილი ვინა სთქვა,—მე, თუ ჯანაშვილმა? რაზედ უნდა დავკითხებოდი ჩემს თავსა? ეს ერთი.

გ) „19 ივნისს ამ წყაროებმა (?) მეც მომიტანეს ბევრი საოცარი ამბები, გარნა, რადგან ვიცოდი, რომ მათი ნადინარი მხოლოდ სიმღვრივეა, ინწუბა და წუმპე, ყურადღებაც არ მივაქციე“... არ ვიცი, რა წყაროებს იგულისხმებს ამ სიტყვებით ჯანაშვილი. მე ვიცი, 1709 წ. დაბეჭდილი სახარება, რომ ჩაუვარდეს ხელში, ერთ უშველებელ ისტორიულ წერილს დაბეჭდავს ბუკითა და ნაღარითა—შესანიშნავი ისტორიული ნაშთი აღმოჩნდაო! ამიტომ საკვირველი და მართლა საოცარი ის არის ჩემთვის ამ შემთხვევაში, რომ „საოცარი ამბები უამბეს ჯანაშვილსა და ხმა არ ამოიღო! ეს კია, ღვთის წინაშე, რომ რაც ხელს არ აძლევს, ან როცა მოკლე-ფეხა ტყუილი შეაჩნდება ხოლმე, პირშიაც რომ უზრახონ, ყურადღებას არ აღირსებს სწორეთ ასე იყო 19 ივნისსაც და, რაკი მე სახვაშიადო არავისთან არა მაქვს რა, ჩვეულებრივ საბუთიანად მოგახსენებთ დაწვრილებით: წინა დღეებში ეპისკოპოსს კირიონს მიეწერა ეპისკოპოსის დიმიტრისათვის მუზეუმის შესახებ გამოსათხოვარი წერილი. ამავე დროს ჯანაშვილსაც მიერთმევინა (მართლა საოცარი!) ორ-თაბახიანი მოხსენება (докладная записка) მუზეუმის კომიტეტის წევრთა მეცნიერულ შრომაზედ (აკი ავად იყო ამ ორ წელიწადს და მუზეუმში არ მუშაობდა!) ეპისკოპოსმა დიმიტრიმ ეს ორივე წერილი გადასცა მდივანს ფერაძეს წასაკითხად. ორივე რო წაიკითხეს, კრებამ ერთხმად მოიწონა წერილი ეპისკოპოსის კირიონისა და ითხოვა მისი დაბეჭდვა. ჯანაშვილის მოხსენება-კი დაიწუნა კრებამ და უკანვე დაუბრუნა. ამ მოხსენებაში ნახევარზედ მეტი ჯანაშვილის ქება იყო დაწერილი... „მე დაუღალავად ვშრომობდი მუზეუმშიო, შევადგინე ორი კატალოგი (№ 1 და 2) მუზეუმის ქონებისაო, ამ კატალოგებს პეტერბურგში და მოსკოვში ყურადღება მიაქციესო (обратили вниманіе) (ნეტა ვინ?) და მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოების წევრად ამომირჩიესო“... და სხვ. აქ ვეღარ მოვითმინე და ეპისკოპოზის დიმიტრის ნება-რთვით მოვახსენე კრებას: „ჯანაშვილის კატალოგების ქება არამც თუ არ გაგვიგონია, დაწუნებისა და ძაგების მეტი არა გვსმენია-მეთქი, რადგან იგინი ღაღადებენ მტკნარს უმეცრებას საეკკლესიო წიგნების სახელების ცოდნისას, და მათი ხმარება შეუძლებელია-მეთქი. თუ გამოსადეგნი ყოფილიყვნენ, თ. ჟორდანიას კატალოგის ბეჭდვას აღარ დაიწყებდნენ მეთქი. ჯანაშვილზედ გაცილებით მეტი შრომა მიუძღვით მუზეუმში სხვებსა-მეთქი“.

ჯანაშვილმა საკუთარის ყურით მოისმინა ეს სიტყვები და, ვგონებ ამაზედ საოცარს ამბებს ვერავინ უამბობდა მას 19 ივნისს. ღვთის წინაშე, კრინტიც არ დაუძრამს, ხმაც არ გაუცია ჩემთვის და ყურადღებაც არ მომაქცია... ეს სამი.

დ.) „ჩემს თვისებასაც ეხებაო“ გაოცებულა ჯანაშვილი. მე ვწერდი:... „მე დარწმუნებული ვარ, რაკი ჯანაშვილის თვისება კარგად ვიცი, რომ ეს თვისი აზრი (ე. ი. ხვაშიადი!) ხახანაშვილის გამოცემის შესახებ ქალაქში ბევრისათვის ექნება ნაამბობი“... ბატონებო, ერთი მიბრძანეთ, თუ ღმერთი გრწამთ, მერე მართალი არ მითქვამს? სწორეთ ვერ ვიწინასწარმეტყველე? მე ერთი ორმა სხვამაც მითხრა ჯანაშვილის განდობილი ხვაშიადი... ეს ოთხი.

ე) „ჩვენ ყველანი მოწოდებულნი ვართ ძმობა, ერთობა ვიქადაგოთ და ვნერგოთ ერში და არა შფოთი და განხეთქილება, იდუმალად არ უნდა ვდევნოთ ერთმანეთი და აშკარად ტუტუცების მოსაცრუებლად არ უნდა ვიყვიროთ: პატრიოტები ვართო“!..

მოკლედ, უნდა გითხრა—„მკურნალო, განიკურნე თავი შენი“! რაც ხანი გიცნობ, შენი ძმობა-ერთობა ვისთანმე არ გამიგონია და ერთი დრო იყო გუნდრუკს უკმევდი და ცაში აგყავდა: თ. ჟორდანია, მისი ბადალი აღარსად იყო; მოიგონე პოლემიკა! განსვენებული გ. წერეთელი, მოიგონე პოლემიკა! ე. თაყაიშვილი, რომელთანაც 1891 წ. ივერიის № 13) გამოაცხადე „წარწერა წავაკითხე დღეს საუკეთესო წამკითხველს ძველის ხელისასაო“, მაგრამ იმავე წლის № 127 „ივერიაში“ იმავე თაყაიშვილს „მტკნარი უმეცარი“ უწოდევი! ხან-და-ხან ხომ ჩემთვინაც წაგიკითხებია ზოგი რამ. ახლა ა. ხახანაშვილი იცანი ძველის ხელის საუკეთესო წამკითხველად. კეთილი! მხოლოდ ვნახოთ ამ ცოტა ხანში შენი სჯულთ უმტკიცესი ჩვეულება—აქ როდისღა იჩენს თავსა—მერყეობა ქება-დაწუნების შორის. ეს ხუთი.

ყოველ ამის შემდეგ უკანვე უნდა წაიღო, ივან ანდრეიჩის თქმული „не лучше-ли кума, на себя оборотиться!“

შენი ჩამოთვლილი შეცდომები ნამდვილად კორრექტურულებია: ეს ხომ კარგად იცი, რომ რის წაკითხვასაც შენ შეიძლებ, იგი უფრო ადვილი წასაკითხი იქნება სხვებისთვინაც.

შემდეგ იმედი მაქვს მოგახსენოთ, საბუთიანად როგორი კარგი წამკითხველიცა ბრძანდები, ან რა ფასისაა პეტერბურგ-მოსკოვში ნაქები კატალოგები №№ 1 და 2.

მღვ. პ. კარბელაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 აგვისტო

კოპენჰაგენი. პრინცი ქრისტიანე და პრინცესა ალექსანდრა მიდიან 7 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზედ, გემით „პრიმულა“ პეტერბურგს.

პარიჟი. საბერძნეთის მეფე ნაშუადღევს წავიდა პეტერბურგს.

კაპშტადტი. პარლამენტის გახსნაზედ გუბერნატორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენია ერთი წყება კანონ-პროექტთა და გამოსთქვა იმედი, რომ ხალხის წარმომადგენელნი მათის განხილვის დროს გამოიჩენენ ზომიერებას, ხოლო მინისტრნი, მორიგების სურვილით განსჭვალულნი, ყოველს ღონეს იხმარებენ ინგლისის სახელმწიფო უფლების დასაცველად.

წმ. ელენეს კუნძული. 997 ბური, და მათ შორის გენერალ კრონიე მეუღლითურთ, 7 (20-ს) აგვისტოს წავიდნენ სამხრეთ-აფრიკისაკენ.

პეტერბურგი. 7-ს აგვისტოს, საღამოს $9\frac{1}{2}$ საათზე კოლპინოში ხელმწიფე იმპერატორისა, მეკლენბურგ-შვერინის დიდის ჰერცოგისა და უმაღლესთა გვამთა წინაშე გაიმართა საღამოს მანევრი სამარის სროლით. 10 საათსა და 25 წამს ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა პეტერჰოფს.

9 აგვისტო.

მოსკოვი. სავალდებულო დადგენილების გამო პურის-საცხობის სადგომების შესახებ მრავალი პურის-საცხობი დაიხურა. მოსკოვის პურის ბირჟის საგანგებო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს ამ სავალდებულო დადგენილების გაუქმებაზე.

სოხუმი. ჯავშნიანი გემი „როსტისლავ“ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის უფროსობით მოვიდა სოხუმს.

ჰაჯიკენტი. წლევანდელის წლის მოსავალი საგანგებოა; ხორბალი ბევრია და კარგის ღირსებისა. მუშები სპარსეთიდგან ცოტანი მოვიდნენ. პური ზოგან აუკრეფელი დარჩა მუშების უპოვნელობის გამო. ყურძნისა და ბრინჯის მოსავალს აგრეთვე კარგს მოელიან.

ვერჟბოლოვო. 8 აგვისტოს გაიარა პეტერბურგისკენ საბერძნეთის მეფემ.

პეტერბურგი. გარდაიცვალა პროფესორი პასტერნაცკი.—პირველ აგვისტოდგან შვიდამდე პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროს უმთავრესს ადგილებში ხოლერით ავად გახდომა და სიკვდილი შესამჩნევად შემცირდა. კვანტუნის ოლქსა, მანჯურიასა და ბლაგოვეშჩენსკში 30 ივლისიდგან 5 აგვისტომდე ავად გახდა 64, მოკვდა 47, პორტარტურში ავად გახდა 61, მოკვდა 41; ინკოუსა, ხარბინსა და გირინში უკანასკნელ დღებში ავად ხდებოდა ათიდგან ცხრამეტამდე დღეში, მუკდენში ავადმყოფთა რიცხვმა იკლო. ხოლერა მაინც თანდათან ვრცელდება პრიამურის მხარეში. თვითეული ავადმყოფნი ხოლერით აღმოჩნდნენ შვიდს სოფელში და რვა აქაურ მკვიდრთა ბინაზედ; ვლადივოსტოკში 27 ივლისიდგან 1 აგვისტომდე ავად გახდა 12, მოკვდა 5; ირკუტსკში მოკვდა ერთი ავადმყოფი ბაიკალის სადგურიდგან მოყვანილი; ხაბაროვსკში ხოლერა გაძლიერდა, 26 ივლისიდგან 1 აგვისტომდე ავად გახდა 67, მოკვდა 24. განკარგულებაა მოხდენილი, რომ მთელს ციმბირის რკინის გზის სიგრძეზედ შემოღებულ იქმნას ღონის ძიებანი ხოლერის შემოსვლის წინააღმდეგ და დაარსებულ იქმნას სანიტარო აღმსრულებელი კომისიები რკინის გზის სიგრძეზე მდებარე მაზრებში ტომსკისა და ტობოლსკის გუბერნიებში და აკმოლინსკის ოლქში; სადგურს ბაიკალზე გამართულია სამკურნალო ზედამხედველობა მგზავრების შესამოწმებლად, რომელნიც სადგურს მისოვოიზედ იყვნენ გაშინჯულნი. წითელის ჯვრის საზოგადოება ჰგზავნის პრიამურის გენერალ-გუბერნატორის ხელქვეით 55 დას მოწყალებისას. ოდესაში განცალკევებულს სამკურნალოში მოთავსებულ 7 სეჭვოთ შავის-ჭირით ავადმყოფთაგან ზოგი მორჩა და ზოგი გადაყვანილ იქმნენ ქალაქის საავადმყოფოში, რადგან შავის-ჭირის ეჭვი არ გამართლდა; აქამდის ოდესაში იყო 9 საეჭვო ავადმყოფი, რომელთაგან ერთი მოკვდა. 31 ივლისს აქსაის ახლო აღმოჩნდა ერთი საეჭვო ავადმყოფი ქალი, რომელიც ახლა უკეთ შეიქმნა.—16 აგვისტოს დანიშნულია ქორწინება დიდის მთავრინა ელენე ვლადიმირის ასულისა და საბერძნეთის მეფის ძის ნიკოლოზისა დიდს ცარსკოსელსკის სასახლეში,

პეტერბურგის ბირჟა, 7 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	$46{,}27\frac{1}{2}$
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{7}{8}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$463\frac{1}{2}$ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$287\frac{1}{2}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$88\frac{3}{4}$ წვ. გაყ.
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89\frac{7}{8}$ წვ. გაყ.
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9800 წვ. გაყ.
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	183 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—5)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან დაჰნიშნა 12 აგვისტოსათვის 1902 წლ. დილის 12 საათზედ ვაჭრობა 400 საჟენის საწვავ შეშის იჯარით მისაცემად ერთის წლის განმავლობაში. შეშა უნდა იყოს ოთხად გასაჭრელი. ეს შეშა დასჭირდება ქალაქის დაწესებულებათა, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისისავე საკომენდანტო მმართველობას.

ვისაც სურს აიღოს იჯარით ამ შეშის მოტანა, შეუძლიან საჭირო პირობის შეტყობა გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(3—6.—3)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

გუმმი-პეპსინი

(Gummi-Pepsin)

პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

სადღეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმელის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს.

5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი მოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	0 1
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10

საბუღალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცდენოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოშენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.